ბექა კვაჭაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო
beka.kvachadze@tsu.ge

ევროპის ანტიოსმალურ ჯვაროსნულ მოძრაობაში საქართველოს ჩართვის საკითხის შესახებ

ჯვაროსნული ლაშქრობების ყველა ეტაპზე, პაპობის დიპლომატიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტი გახლდათ, მოეძებნათ ძლიერი აღმოსავლელი მოკავშირე, რომელიც შეძლებდა მუსლიმებისათვის ზურგიდან შეტევას. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით პოპულარული გახდა XIV-XV საუკუნეებში. XIII საუკუნის ბოლოს, აკრას დაცემის შემდეგ, როდესაც ევროპაში მძლავრი ჯვაროსნული ლაშქრის ორგანიზება პრაქტიკულად გაჭირდა, პაპობა, აღმოსავლელ მოკავშირეებზე, უფრო და უფრო მეტ იმედებს ამყარებდა. ბენჟამინ ვებერის თქმით: *„განცდილმა წარუმატებლობებმა, ჯვაროსნული ლაშქრობების მესვეურთათვის ნათელი გახადა, რომ მხოლოდ ღვთის შეწევნა საკმარისი არ იყო და საჭირო იყო მოკავშირეთა მოძებნა აღმოსავლეთში.“*[1] ჯვაროსნულად განწობილ ევროპელ ინტელექტუალებს მიაჩნდათ, რომ ევროპელი ქრისტიანების წმინდა მოვალეობა, ახლა უკვე აღმოსავლურ ძალებს უნდა შეესრულებინათ.[2] ჯვაროსნულ ქრონიკებსა და წერილებში, ევროპელი ჯვაროსნების აღმოსავლელი მოკავშირეების როლში,

---

[1] Benjamin Weber. Toward a Global Crusade? The Papacy and the Non-Latin World in the Fifteenth Century. *Reconfiguring the Fifteenth-Century Crusade*, edited by Norman Housley, 2017. P. 12.

[2] ამის შესანიშნავი მაგალითია, ტრირიის მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირის ჩანაწერი, რომელიც 1300 წელს ილხანთა მბრძანებლის ყაზან ყაენის მიერ სირიასა და პალესტინაში ეგვიპტელი მამლუქების დამარცხებას ეხმაურება: *„ღმერთს სურდა წმინდა მიწაზე დასრულებულიყო ომი და ტანჯვა, ასევე შური ეძია მის მსახურებთა დაღვრილი სისხლისათვის. რადგან თავის შვილთა შორის (იგულისხმება ქრისტიანი მმართველები. ბ.კ) ვერ იპოვა ღირსეული ამ ომის გაძღოლისათვის, ბრძოლის პატივი წარმართ მონღოლ ხანს მიაგო.“* Robert S. Lopez. Genova marinara nel duecento; Benedetto Zaccaria, ammiraglio e merchante. Messina-Milan 1933. P. 214.

ზოგჯერ რეალური პოლიტიკური ძალები, ზოგჯერ მითიური სახელმწიფოები და მეფეები გვხდებიან. ხშირად ევროპული მოლოდინები აღმოსავლელი მოკავშირეების ძალებისა და მოტივების შესახებ გაზვიადებული და რეალობას აცდენილი ყოფილა. თუმცა ერთი რამ შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ დროთა განმავლობაში, ჯვაროსნული ევროპის ინტერესები აღმოსავლელი ქრისტიანების მიმართ უფრო და უფრო იზრდებოდა. ჯვაროსნულმა პოლიტიკამ, რაც ამ შორეულ მოკავშირეებზე იმედების დამყარებაზე იყო აგებული, რამდენიმე საუკუნოვანი განვითარება ჰპოვა.[1] XV საუკუნეში, ჯვაროსნულმა იდეამ და მოძრაობამ კომპლექსური ხასიათის ცვლილებები განიცადა, თუმცა აღმოსავლეთით გაფართოვების სტრატეგია და მოკავშირის ძებნა მტრის ზურგში, ჯვაროონული მოძრაობის ახალ ეტაპზეც ხელუხლებელი დარჩა. ნორმან ჰოსლის თქმით: *„ანტიოსმალური ჯვაროსნული მოძრაობა დაიწყო ეკლესიამ, ევროპის დასაცავად, თუმცა რიგი მიზეზების გამო (რიტორიკული, სტრატეგიული, სულიერი) იგი არ შემოფარგლულა ევროპული სივრცითა და პარამეტრებით.“*[2] XV საუკუნეშიც, პაპობის ჯვაროსნულ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ აღმოსავლელ ქრისტიანებს. რომის პაპ ეუგენიუს IV-ის ჯვაროსნულ სიტყვაში, რომელიც 1443 წლით თარიღდება გვხვდება მონაკვეთი: *„აღმოსავლელი ქრისტიანები გამოძერწილნი არიან იმავე თიხისაგან. ფორმა აქვთ მიღებული იმავე ელემენტებისაგან და რაც უთავრესია, ჩვენიანები არიან რელიგიითა და რწმენით.“*[3]

XV საუკუნის შუა ხანებში, როდესაც ბიზანტიის ირგვლივ განვითარებული მოვლენების გამო, ჯვაროსნული მოძრაობის ახალი აქტიური ტალღა დაიწყო, ახალი ძალით გააქტიურდა აღმოსავლელი მოკავშირეების საკითხი. ანტიოსმალური ჯვაროსნული მოძრაობის სხვადასხვა ეტაპზე, აღმოსავლელ მოკავშირეებად განიხილებოდნენ, როგორც აღმოსავლელი ქრისტიანები, ასევე მცირე აზიისა და ირანის ტერიტორიაზე არსებული ისლამური პოლიტიკური ერთეულებიც. კლასიკური ჯვაროსნული ეპოქისგან განსხვავებით, XV საუკუნეში შეიცვალა მთავარი მეტოქე და ომის

[1] დაწვრილებით იხილეთ: Antonio García Espada. The Geographical Enlargement of the Crusade Theory after 1291. Les projets de croisade: Géostratégie et diplomatie européenne du XIVe au XVIIe siècle, ed. Jacques Paviot. Toulouse 2014. P. 109-124.
[2] Norman Housley. Crusading and the Ottoman threat, 1453-1505. Oxford University Press, 2013. p. 26.
[3] Epistolae pontificiae ad concilium Florentinum spectantes. Ed. By George Hofmann. Vol. 3. Rome, 1946. P. 73.

წარმოების გეოგრაფიული არეალი. ნიკოპოლის კამპანიიდან მოყოლებული, ჯვაროსნული იდეის მთავარ ობიექტად საბოლოოდ იქცნენ ოსმალი თურქები: *„...ოსმალი თურქები იქცნენ ჯვაროსნული მოძრაობის მთავარ მტრებად.“*[1] ჯვაროსნული ლაშქრობების გეოგრაფიული ცვლილებების შესაბამისად, გაჩნდა ახალ რეგიონზე დეტალური და მრავალმხრივი ცოდნის აუცილებლობა. ჯვაროსნული მოძრაობის ლიდერები უნდა კონცენტრირებულიყვნენ ბალკანეთსა და მცირე აზიაზე, სადაც უნდა განხორციელებულიყო პოტენციური ჯვაროსნული სამხედრო აქტივობები.[2] XV საუკუნის პირველ ნახევარში, ოსმალთა ყველა მოსაზღვრე პოლიტიკური ერთეული, სულთნის ექსპანსიური პოლიტიკის წინაშე დადგა. ამ საფრთხემ პოლიტიკური დაქვეითების გზაზე მდგომი საქართველოს პოლიტიკური მესვეურებიც დააფიქრა. თუ მივმართავთ ანალოგიას, ისე ჩანდა, რომ ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდის დიპლომატიამ ახალი სუნთქვა შეიძინა. ცხადია, ვგულისხმობთ ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქის დიპლომატიის უმნიშვნელოვანეს ასპექტს, კერძოდ, ლათინთა მიერ მოკავშირეების ძიებას აღმოსავლეთში. საქართველო ჯვაროსნების პოტენციურ მოკავშირედ წარსულშიც აქტიურად განიხილებოდა, თუმცა ახლა გარემოებები შეიცვალა. როდესაც ჯვაროსნული ომების ეპიცენტრმა, წმინდა მიწიდან მცირე აზიისკენ გადმოინაცვლა, ბუნებრივია ამ გეოგრაფიულ გარემოებას, უნდა გაეზარდა საქართველოს, როგორც პოტენციური მოკავშირის როლი პაპობის ჯვაროსნულ პოლიტიკაში. ამ გარემოებების გათვალისწინებით, ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ თუ როდიდან ჩნდება საქართველოს, როგორც ანტიოსმალური სამხედრო ძალის საკითხი ევროპის ჯვაროსნულ პოლიტიკაში?

ამ კითხვაზე პასუხი ქართულ სამეცნიერო წრეებს შესთავაზა, უნგრელმა მეცნიერმა ლაიოშ ტარდიმ. ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიაში, მას მოაქვს ცნობა, რომ 1454 წელს, ცნობილმა იტალიელმა ჰუმანისტმა და შემდგომში რომის პაპმა, ენეა სილვიო პიკოლომინიმ, წერილი მისწერა უნგრელ სასულიერო მოღვაწეს იანოშ ვიტეზს, რომელშიც იგი გამოთქვამდა იმედს, რო შეიქმნებოდა ქმედითი ანტიოსმალური ლიგა, რომელშიც

---

[1] Norman Housley. The crusading movement. *The Oxford history of crusades. Edited by Jonathan Riley-smith.* Oxford university press. 1999. P. 277.

[2] Emmanuelle Vagnon. Géographie et stratégies dans les projets de croisade, XIII e -XV e siècle. Les projets de croisade: Géostratégie et diplomatie européenne du XIVe au XVIIe siècle, ed. Jacques Paviot. Toulouse 2014. P. 144-145.

შევიდოდნენ - პაპი, ვენეცია, უნგრეთი და აღმოსავლეთიდან ქრისტიანული საქართველო, ასევე ანტიოსმალურად განწობილი მუსლიმური სახელმწიფოები.[1] აღნიშნული ვრცელ წერილში პიკოლომინი წერდა: *„რომაელებმა აპრილის თვეში, თურქთა წინააღმდეგ ფლოტი უნდა შეაიარაღონ, ასევე არაგონისა და სიცილიის მეფე ალფონსო, ვენეციელები და გენუელები უნდა მოვიხმოთ. ყარამანიელი სარაცინები, ასევე ტრაპიზონის იმპერატორი და იბერიის მეფე, ალბანელები, ბულგარელები და დალმაციელები უნდა შევაგონოთ, რომ აისხან იარაღი".*[2] აღნიშნულ წერილს აქტიურად უთითებენ და ამოსავალ წერტილად მიიჩნევენ ქართველი მკვლევარები: მირიან მახარაძე,[3] მიხეილ სვანიძე,[4] და ელდარ მამისთვალიშვილი.[5] ლაიოშ ტარდის მიერ გამოქვეყნებული მონაკვეთი, 1454 წლით დათარიღებული წერილიდან, მიიჩნევა, პირველ დოკუმენტურ მტკიცებულებად, სადაც ანტიოსმალურ ჯვაროსნულ პროექტში, ქართველები აქტიურ მონაწილეებად მოაზრებულები არიან.

გარდა აღნიშნული წერილისა, საინტერესო ცნობაა დაცული ისტორიკოსს ვ. ჩოჩიევის სტატიაში, სადაც იგი წერს, რომ: *„როგორც ევროპული წყაროებიდან ჩანს, საქართველოს გამოყენება ოსმალების წინააღმდეგ მის (გულისხმობს პაპ პიუს II-ს. ბ. კ) წინამოსაყდრე კალიქსტო III-ს ჰქონია გათვალისწინებული. მან საქართველოს მეფეს წერილი გაუგზავნა 40-იან წლებში, როდესაც სკანდერ ბეგს ოსმალთა წინააღმდეგ ომი გაუჩაღებია (1444 წ.). პაპი საქართველოს მეფეს სთხოვდა დახმარებოდა ალბანელთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურს."*[6] აღნიშნულ ცნობას

---

[1] ლაიოშ ტარდი. ვენეციის როლი უნგრეთთან, საქართველოსა და სპარსეთთან ურთიერთობაში. *ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები.* ტ. 2. თბილისი, 1978. გვ. 198.

[2] Der Briefwechsel des Eneas Silvius Piccolomini. Herausgegeben Von Rudolf Wolkan. Abteilung III. Briefe als Bischof von Siena. "Fontes rerum Austriacarum. Österreichische Geschichtsquellen." Wien 1918. p. 551.

[3] მირიან მახარაძე. საქართველო ოსმალეთის ურთიერთობები XV საუკუნეში. თბილისი, 2005. გვ. 88.

[4] მიხეილ სვანიძე. საქართველო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1990. გვ. 116.

[5] ელდარ მამისთვალიშვილი. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. ტომი I. თბილისი, 2009 გვ. 39-40.

[6] ვიტალი ჩოჩიევი. მახლობელი აღმოსავლეთი მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობები. ტ. 206. თბილისი, 1979. გვ. 150.

ყურადღებას, საკითხით დაინტერესებულ ისტორიკოსთა მხოლოდ მცირე ნაწილთან ვხვდებით. ამ ცნობაზე დაყრდნობით მ. მახარაძე მიიჩნევდა, რომ ევროპამ ოსმალთა წინააღმდეგ დახმარება, ქართველებს ჯერ კიდევ ვარნას კამპანიის დროს სთხოვა და მიიჩნევს, რომ: *„ქართველებისათვის ფერარა-ფლორენციის უშედეგოდ დამთავრებამ გამოიწვია ის, რომ მათ არ მიიღეს მონაწილეობა ვარნას ბრძოლაში.“*[1] რომ დავუბრუნდეთ ზემოთ მოხმობილ მონაკვეთს სტატიიდან, მასში ბევრი ბუნდოვანებაა და კრიტიკულ განხილვას მოითხოვს. მონაკვეთის ერთი სისუსტე ისაა, რომ, ჩოჩიევი წერს, თითქოს 1444 წელს, პაპმა კალიქსტ III-მ წერილი მისწერა საქართველოს მეფეს. პრობლემა ისაა, რომ 1444 წელს პაპის ტახტი ევგენიუს IV-ს ეკავა ხოლო კალიქსტ III სამოციქულო საყდრის მფლობელი 1455 წელს გახდა.[2] შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ავტორმა მცირე უზუსტობა დაუშვა, უბრალოდ აერია რომის პაპის ვინაობა და მსგავსი წერილი მართლაც არსებობდა. თუმცა აქ ვაწყდებით მთავარ პრობლემას. ჩოჩიევი უთითებს წყაროს და ასახელებს ავტორს, სადაც აღნიშნული წერილი უნდა იყოს დაცული, თუმცა დასახელებული ნაშრომის, მითითებულ გვერდზე მსგავსი ინფორმაცია არაა წარმოდგენილი.[3]

მიუხედავად ჩოჩიევის მიერ მოხმობილი ბუნდოვანი ცნობებისა, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია აზრი, რომ ევროპის ანტიოსმალურ ჯვაროსნულ მოძრაობაში საქართველოს საკითხი კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ გააქტიურდა. რის დასტურადაც ზემოთ მოხმობილი მონაკვეთი მიიჩნევა პიკოლომინის წერილიდან. თუმცა არსებობს ცნობები, რომელთაგან ზოგი ირიბად, ზოგიც კი პირდაპირ მიანიშნებს, რომ ევროპაში ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის დაცემამდე განიხილებოდა საქართველო, ოსმალთა წინააღმდეგ, პოტენციურ მოკავშირედ.

ჩვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაცული, 1425 წელს, რომის პაპს მარტინ V-ის (1417-1431) მიერ გამოცემულ ბრძანებაში. პაპმა გამოსცა ორი ბულა, რომელიც მიმართული იყო, იმ ვენეციური და გენუური კოლონიების წინააღმდეგ, საიდანაც შავი ზღვის აუზში

---

[1] მირიან მახარაძე. საქართველო ოსმალეთის ურთიერთობები XV საუკუნეში... გვ. 84.

[2] Giuseppe Valentini. La Crociata da Eugenio IV a Callisto III dai Documenti d'archivio di Venezia). Archivum Historiae Pontificiae, Vol. 12, 1974. p. 93.

[3] Ernest Charrière. Négociations de la France dans le Levant ou Correspondances, mémoires et actes diplomatiques. T. I. Paris 1848. P. 120.

დატყვევებული ქრისტიანებით, მუსლიმებთან ვაჭრობდნენ.[1] სანდრა ორიგონე აღნიშნავდა, რომ *„პაპმა ტანასა და კაფაში, ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობაში ჩართული პირების წინააღმდეგ გაილაშქრა და ჯიქების, ჩერქეზების, ალანების, აფხაზებისა და მეგრელების დაცვა იკისრა."*[2] მარტინ V-ის 3 ივნისით დათარიღებულ ბულაში დაცულია ინფორმაცია: *„ისინი (შავი ზღვის რეგიონში მყოფი ებრაელი და ქრისტიანი ვაჭრები) ჩადიან სხვადასხვა საზარელ დანაშაულს, სხვათა შორის ყველაზე საშინელია მოსასმენად, რომ ჯიქებს, რუსებს, ალანებს, მეგრელებსა და აფხაზებს, ბერძნული წესით მონათლულ ქრისტიანებს, ყიდულობენ და ყიდიან, როგორც მამაკაცებს ასევე ქალებს... ისინი მათ ჰყიდიან სარაცინებზე, ზოგჯერ კი თავად გადაჰყავთ ურწმუნოთა მიწებზე... ნებისმიერი მათგანი, რომელიც ჩვენი განკარგულების საწინააღმდეგოთ, გადაწყვეტს გააგრძელოს ქრისტიანი ტყვეების მიყიდვა ურწმუნოებზე, ასევე გაუწევს მათ (სარაცინებს), ჩამოერთმევა მას მთელი ქონება, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერი რაოდენობის, რათა მოხდეს გაყიდული ტყვეების გამოსყიდვა... დამნაშავე გაძევებული იქნება, ყველა ქალაქიდან, დაბიდან და დასახლებიდან, რადგან მსგავსი ცოდვებით დამძიმებული პირის ყოფნა აუტანელია იმ ქალაქში, რომელიც ქრისტიანულ რწმენას აღიარებს."*[3] ხოლო 9 ივნისით დათარიღებულ მეორე ბულაში ნათქვამია: *„...ჩვენ ვაცხადებთ და ვფიცავთ, ქრისტეს სახელით, რომ არავის აქვს უფლება საკუთარი ხელით, ან სხვისი დავალებით. საკუთარი თავისათვის, ან სხვისთვის, საჯაროდ თუ ფარულად, რაიმე მიზეზით, ან უმიზეზოდ, გაყიდოს, გასცეს, ჩააბაროს, დაატყვევოს რომელიმე პირი, ან პირები ჯიქებიდან, ალანებიდან, რუსებიდან, მეგრელებიდან და აფხაზებიდან, სარაცინებსა და სხვა ურწმუნოებს და ასე გააძლიეროს მათი ძალა ქრისტიანთა ხარჯზე."*[4] პაპის მიერ გამოქვეყნებული ბრძანებულებების უკან, შეიძლება რელიგიური და ჯვაროსნული მოტივები ამოვიკითხოთ. რელიგიური, რადგან პაპიც და კათოლიკური ეკლესიაც, ქრისტიანი ტყვეებით

---

[1] Hannah Barker. That Most Precious Merchandise; The Mediterranean Trade in Black Sea Slaves, 1260–1500. Philadelphia, 2019. P. 202.

[2] Sandra Origone. Christian Slave Traders, Slave Owners, and Slaves in the 13th–15th Centuries. *Slavery in the Black Sea Region, c.900–1900. Forms of Unfreedom at the Intersection between Christianity and Islam.* Edited by Felicia Roșu. Leiden – Boston, 2022. P. 98.

[3] Bullarum diplomatum et privilegiorum sanctorum romanum pontificum. Cur. Aloysius Tomassetti. Tomus IV. Augustae Taurinorum, 1859. P. 719.

[4] Ibid... p.p. 720-721.

ვაჭრობას, მიუღებელ საქმიანობათ თვლიდა. ხოლო რაც შეეხება ჯვაროსნულს, საგულისხმოა, რომ შავი ზღვიდან გაყვანილი ქრისტიანი ტყვეები ოსმალთა და მამლუქთა სამხედრო რაზმებს ავსებდა. გვიანი ჯვაროსნული დიპლომატიის მნიშვნელოვანი ასპექტი გახლდათ, შავი ზღვის აუზიდან გაყვანილი ტყვეებით ოსმალთა და მამლუქთა სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერების საკითხი და გზების მოძიება მის აღმოსაფხვრელად. პაპობა აქტიურად ცდილობდა ეკონომიკური „ემბარგოს გამოყენებას" და ისეთი ნედლეულით ვაჭრობას მუსლიმებთან, რაც მათ სამხედრო შესაძლებლობებს გაზრდიდა.[1] ეკონომიკური ემბარგო, XIV საუკუნის ჯვაროსნული მოძრაობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ასპექტი იყო და მნიშვნელობა არ დაუკარგავს არც XV საუკუნის შუა ხანებშიც. სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს ჩანაწერი ზემოთ მოყვანილი მონაკვეთიდან, რომ მსგავსი ვაჭრობა, ქრისტიანთა ხარჯზე სარაცინებს გაძლიერებას უწყობს ხელს. ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ, მომავალშიც გამოდიოდნენ ჯვაროსნული იდეის მხარდამჭერი მოღვაწეები. შეგვიძლია მოვიხმოთ მონაკვეთი ჟან ჟერმეინის გამოსვლის ტექსტიდან: *„თუ გენუელები შეწყვეტენ რეიდებს ქრისტიანულ მიწებზე, საიდანაც ამარაგებენ სარაცინებს მეომრებით. ამ გზით დიდად შესუსტდება სარაცინთა ძალაუფლება ეგვიპტეში, სირიასა და მთელს აღმოსავლეთში."*[2] პაპის აღნიშნული 2 ბულა, იყო მცდელობა ორი ჯვაროსნული მიზნის მისაღწევად. ქრისტიანი ტყვეებით ვაჭრობა შავი ზღვის რეგიონში, ერთის მხრივ, აძლიერებდა მუსლიმებს და მეორეს მხრივ ასუსტებდა იმ ქრისტიან ხალხებს, რომლებიც მომავალსი ჯვაროსნული ლაშქრობების პოტენციურ მოკავშირეებად განიხილებოდნენ.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს, 1438 წლის 12 დეკემბერს, ფრანცისკანელი ბერის, ბართოლომეო დე ჯიანოს მიერ კონსტანტინოპოლიდან გაგზავნილი წერილი, რომელიც იმავე ორდენის აბატ სარტეანოს გაუგზავნა. წერილის ძირითადი თემაა ოსმალთა სისასტიკის აღწერა და საფრთხეები, რომელიც

---

[1] Hannah Barker. That Most Precious Merchandise; The Mediterranean Trade in Black Sea Slaves, 1260–1500... p. 200.

[2] Extracts from an oration delivered before King Charles VII of France in 1451, by Jean Germain, bishof of Chalon-sur-Saone and envoy of Duke Philip the Good of Burgundy. Documents on the later crusades (1274-1580). Edited and translated by Norman Housley. New York 1996. p. 142.

აღმოსავლეთში მცხოვრებ ქრისტიანებს ემუქრებოდათ თურქთა ხელიდან. ასევე მოუწოდებს, ევროპის პოლიტიკურ და სასულიერო წრეებს, რომ გულგრილად ნუ მოეკიდებიან აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანების ბედს და გააძლიერონ მათი მხარდაჭერა. იგი აღმოსავლელი ქრისტიანების ჩამოთვლისას განსაკუთრებით გამოჰყოფს საქართველოს სამეფოს მნიშვნელობას: *„...მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთი უკვე დაკარგულია, ისევე როგორც თურქეთის მიწები. ამჟამად უამრავი ქრისტიანი ხალხი რჩება შავი ზღვის მიღმა, რომლებიც ქრისტიანული სარწმუნოების წმინდა რიტუალებს ბერძნული წესისამებრ აღასრულებენ. უპირველესი, ესაა ტრაპიზონის აღმოსავლეთით მდებარე, არცთუ უმნიშვნელო ქართველთა სამეფო, სადაც ამჟამად მეფე ალექსანდრე მბრძანებლობს. ...რომ არაფერი ვთქვათ ჩერქეზეთზე, ბულგარეთზე, სამეგრელოზე (mingrelia), ვალახეთზე, პეტრაზე ზღვის პირას, სადაც ყველანი ბერძნულ წესს მისდევენ.“*[1] წერილის ძირითადი პათოსი იმაში მდგომარებს, რომ აღმოსავლეთში მცხოვრები ქრისტიანების, მათ შორის ქართველების, ოსმალური საფრთხის პირისპირ მიტოვება დიდი შეცდომა იქნება. ბართოლომეო ჯიანოს აზრით, ანტიოსმალური ჯვაროსნული ლაშქრობისას აღმოსავლელ ქრისტიანებს მნიშვნელოვანი, მოტივატორის როლი უნდა დაეკისროთ.

წარმოდგენილი ორი მონაკვეთი, შეიძლება ჩაითვალოს იმის ირიბ მტკიცებულებად, რომ ანტიოსმალურ ჯვაროსნულ მოძრაობაში, ქართველებს პოტენციურ მოკავშირეებად ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის დაცემამდეც მოიაზრებდნენ. ჩვენს ხელთ აღმოჩნდა კიდევ ერთი წყარო, რომელიც აღნიშნული თეზის პირდაპირ მტკიცებულებას წარმოადგენს. საუბარი გვაქვს წყაროზე, რომელიც წარმოადგენს ბურგუნდიის ჰერცოგის ფილიპე კეთილის ელჩის - შალონ სურ-სეონის ეპისკოპოს, ჟან ჟერმეინის (1400-1461), გამოსვლის ჩანაწერებს. იგი გახლდათ, XV საუკუნის შუა ხანების, სასულიერო ინტელექტუალურ წრეებში გამორჩეული ფიგურა, რომელიც ქმნიდა ბურგუნდიული ჯვაროსნული იდეის იდეოლოგიურ იერსახეს. ერიკ ბიურკჰარდტის ცნობით: *„იგი იყო ჯვაროსნული ლაშქრობების თეორიტიკოსი, რომელმაც თავისი ნაწერებით, დიდი წვლილი შეიტანა რწმენისათვის ბრძოლის თეოლოგიურ გამართლებაში. ასევე მისმა ნაწერებმა შექმნა ბურგუნდიის*

[1] Bartolomeo de Giano. Ordinis Minorum Epistola de Crudelitate Turcarum. Patrologiæ Græcæ. traditio Catholica sæculum XV anni 1448-1453. Michaelis Glygæ opera omnia. Tomus onicus. CLVIII. 1866. P.p. 1056-1057.

საჰერცოგოს, როგორც ჯვაროსნული ძალის სახე, სრულიად ევროპულ სამყაროში."[1] ჟან ჟერმეინი 1400 წელს დაიბადა და მისი ოჯახის შესახებ ცნობილია, რომ მაღალ არისტოკრატიულ წრეებს არ მიეკუთვნებოდა.[2] ბურგუნდიულ წყაროებში, მისი სახელი პირველად 1421 წელს ჩნდება, სადაც ის ახალგაზრდა მღვდლად არის მოხსენიებული, ხოლო 1431 წლის ნოემბერში იგი ხდება, ბურგუნდიული ჯვაროსნული სამხედრო ორგანიზაციის, „ოქროს საწმისის" რაინდული ორდენის კანცლერი.[3] 1433 წელს, ბურგუნდიის ჰერცოგმა, მას შესასწავლად გადასცა ყურანი და ჩანაწერები მუჰამადის ცხოვრების შესახებ, რომელიც ბერტრან დე ლა ბროკემ შეიძინა დამასკოში.[4] 1435 წლისათვის მას უკვე ჰქონდა თეოლოგიის დოქტორის ხარისხი და იმავე წელს ინიშნება შალონ სურ-სეონის ეპისკოპოსად, რომელიც ბურგუნდიის საჰერცოგოში, ერთერთი ყველაზე გავლენიანი სასულიერო ტიტული გახლდათ.[5] სასულიერო სფეროსთან დაკავშირებული ფუნქციების გარდა, იგი წარმატებულად ითავსებდა დიპლომატის როლსაც და *„იყო ბურგუნდიის საჰერცოგოს ელჩი, ყველგან, სადაც კი წარმოდგენილი იყვნენ კლერიკალური წრეები"*.[6] იგი წარმოადგენდა ბურგუნდიის საჰერცოგოს ბაზელისა და ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებებზეც.[7] აქტიურად იყო ჩართული ბურგუნდიის საჰერცოგოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და გახლდათ ბურგუნდიული ჯვაროსნული მოძრაობის იდეოლოგიური

---

[1] Eric Burkart. Plaider pour la Croisade et lègitimer le pouvoir: les traitès de Jean Germain, prèsentès en 1451 au chapitre de la Toison D'or. *Publication du centre Europèen d'ètudes Bourguignonnes (XIV-XVI s.). Les cultures de la décision dans l'espace bourguignononflits, pèlerinages, échanges. N. 57.* Neuchâtel 2017. p. 148.

[2] François Berriot. Images de l'Islam dans le Débat manuscrit de Jean Germain (1450). *Bulletin de l'Association d'étude sur l'humanisme, la réforme et la renaissance.* N.14. 1981. P. 32.

[3] Jacques Paviot. Jean Germain, èvêque de Nevers et de Chalon-sur-Saone Chancelier de l'ordre de la Toison d'or. *publication du centre Europèen d'ètudes Bourguignonnes (XIV-XVI s.).* N. 50. Universitè de Paris XII. 2010. P. 114-116.

[4] Jacques Paviot. Burgundy and the Crusade. *Crusading in the Fifteenth Century, Message and Impact. ed. by Norman Housley.* Palgrave Macmillan 2004. p. 72.

[5] François Berriot. Images de l'Islam dans le Débat manuscrit de Jean Germain (1450)... p. 32.

[6] Eric Burkart. Plaider pour la Croisade et lègitimer le pouvoir: les traitès de Jean Germain, prèsentès en 1451 au chapitre de la Toison D'or... p. 149.

[7] Richard Vaughan. Philip the good; the apogee of Burgundy. London and Harlow, 1970. p. 212.

შემოქმედი.[1] მისი სამწერლობო მემკვიდრეობა, რომელსაც დიდი დატვირთვა ჰქონდა XV საუკუნის ბურგუნდიული და ზოგადად ევროპული, ჯვაროსნული იდეის ფორმირებაში, ხუთი წიგნით შემოიფარგლებოდა.[2] მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „mappemonde spirituelle", ნაშრომი ქრისტიანთა მიწების შესახებ. თავად ავტორი მსგავსად აყალიბებდა ამ ტრაქტატის დანიშნულებას: *„ჩვენი მიზანი იყო დეტალურად აღგვეწერა ის პროვციები, ადგილები და მათი სახელები, სადაც იესო ქრისტე, ჩვენი მეუფე, მოღვაწეობდა და სადაც გვიხსნა ჩვენი ცოდვებისაგან. სადაც დაიბადა და ცხოვრობდა წმინდა ქალწული მარიამი, წმინდა მოციქულები, წმინდანები და პირველი მორწმუნენი".*[3] ამ ტრაქტატში ჟან ჟერმეინი ქრისტიანთა მემკვიდრეობად წარმოადგენდა წმინდა მიწას და მთლიანად ლევანტის რეგიონს. შესაბამისად იგი ამ ტერიტორიების უკან დაბრუნებას, საღვთო იდეად სახავდა და ქმნიდა თეორიულ საფუძველს რომელიც კვებავდა აღნიშნული ეპოქის ჯვაროსნულ ტრადიციას. *„იგი (ჟან ჟერმეინი) აფართოვებდა ბურგუნდიის ჰერცოგის ჯვაროსნული მიზნების დიაპაზონს და სთავაზობდა დაეპყრო ყველა ის მიწა, რომელიც წარსულში ქრისტიანთა ხელში იყო."*[4]

სწორედ შალონ სურ-სეონის, გულმხურვალე ჯვაროსანი, ეპისკოპოსი 1451 წელს ვრცელი სიტყვით წარსდგა საფრანგეთის მეფის შარლ VII-ის სამეფო კარზე, რომელიც ფაქტობრივად ახალი ჯვაროსნული ომის ქადაგებას წარმოადგენდა. მასში მიმოხილული იყო მთელი ჯვაროსნული სტრატეგია, როგორც გეოგრაფიული, ასევე

---

[1] Jacques Paviot. Jean Germain, èvêque de Nevers et de Chalon-sur-Saone Chancelier de l'ordre de la Toison d'or... p. 118-127.

[2] „Mappemonde Spiritualle" (1449) (სულიერი მსოფლიოს რუკა), „Debat du Chrestien et du Sarrasin" (1450) (დებატები ქრისტიანებსა და სარკინოზთა შორის), „Liber de virtutibus Philippi Burgundiae et Brabantiae ducis" (1452) (წიგნი ბურგუნდიისა და ბრაბანტის ჰერცოგი ფილიპის სათნოებათა შესახებ), „Discours du voyage d'oultremer au très victorieux roi Charles VII" (1452) (ყოვლად ძლევამოსილი მეფე შარლ VII-ის საღვარგარეთული მოგზაურობის ამბები), „Deux pans de la tapisserie chrestienne" (1457) (ქრისტიანული გობელენის ორი სექცია). David Joseph Wrisley. situating Islamdom in Jean Germain's Mappemonde Spiritualle (1449). Medieval Encounters, N. 13. Brill 2007. P. 327.

[3] Nicole Bèriou. Reprèsentation du monde et actualitè de la croisade au XV siècle. La *Mappemonde Spiritualle* de Jean Germain (1449). *Publication du centre Europèen d'ètudes Bourguignonnes (XIV-XVI s.).* N. 50. Universitè de Paris XII. 2010. P. 131.

[4] Jacques Paviot. Burgundy and the Crusade... p. 72.

სამხედრო მახასითებლებით. მოვიტანთ ამ გამოსვლიდან ჩვენთვის საინტერესო ადგილებს: *„...ჩვენ უნდა გვახსოვდეს,* - ვკითხულობთ მასში, - *რომ ღმერთის ნებით, ყველა იწყებს ამ წმინდა საქმეში ჩართვას. გარდა აკრის ლორდისა, რომელიც სირიაშია, 200 ათასმა სომეხმა მებრძოლმა შესთავაზა დახმარება საქრისტიანოს ამ საქმეში და 50 ათასი ქართველი, სრულ მზადყოფნაშია და ელოდება ქრისტიანთა ჯარის მოსვლას. გარდა ამისა, არიან უნგელთა და პოლონელთა ჯარები, რომელსაც მეთაურობს გრაფი იან [ჰუნიადი] თეთრი, ვოევოდად წოდებული და ისინი მოწადინებულნი არიან, უკან დაახევინონ თურქებს. მცირე კონტიგენტებითაც კი, ისინი ხშირად ახერხებენ დიდი ზიანი მიაყენონ თურქთა ურიცხვ ჯარებს. შესაბამისად ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ სრულიად საქრისტიანოდან მობილიზებული ძალების დახმარებით, ისინი კუდამოძუებულს გაუშვებენ თურქებს ბერძნული მიწებიდან. აღნიშნული საკითხი რომ შევაჯამოთ, ხელშემწყობი გარემოება გახლავთ, რომ ქრისტიანი ხალხი ამჟამად უფრო მზადაა, ვიდრე ოდესმე ყოფილა, რომ ჩაიდინოს სასიკეთო საქმეები თავისი რწმენისათვის. საღვთო მიზნებისათვის უნდა მოვუწოდოთ ქრისტიანებს ჯვაროსნულ ომში, რომელიც უნდა ემსახუროს სრულიად საქრისტიანოს უშფოთველ არსებობას. ....ეს პროექტი თუ განხორციელდება ის მრავალ სარგებელს მოუტანს ქრისტიანულ სამყაროს. მაგალითად, როგორიც არის სულთნის ძალაუფლების დაცემა, რომელიც ემყარება მის მამლუქებს. ეს გამოიწვევს კონსტანტინოპოლის იმპერატორის პოზიციების გამყარებას. ...გარდა ამისა, 200 ათასი სომეხი მებრძოლი და 50 ათასი ქართველი მზად იქნება გამოვიდნენ საბრძოლველად და დაიბრუნონ თავიათი მშობლიური მიწები დიდ სომხეთსა და საქართველოში, რომლებიც უპყრიათ თურქებსა და ყარამანელებს. შესაბამისად თურქებს ზურგში ქართველები და სომხები ეყოლებათ, მაშინ როცა მოუწევთ ძალამოკრებილ კონსტანტინოპოლის იმპერატორთან დაპირისპირება. აქედან გამომდინარე, ისინი ადვილად დაკარგავენ მცირე აზიას, რომელსაც ძველ თურქეთს უწოდებენ.“*[1] ამ ძალზედ საინტერესო წყაროდან ირკვევა, რომ ევროპის სასულიერო და პოლიტიკურ წრეებში, კონსტანტინოპოლის დაცემამდეც განიხილებოდა საქართველო, როგორც ოსმალთა წინააღმდეგ

[1] Charles Schefer. Le discours du voyage d'oultremer au trés victorieux roi Charles VII, prononcé en 1452 par Jean Germain évequé de Chalon. Revue de l'orient Latin, vol. III. Paris, 1895. P. 331; 339-340;

პოტენციური მოკავშირე. ჩვენ არ ვიცით, რა ცნობებს ეყრდნობოდა ამ წყაროს ავტორი, თუმცა მისი დამაჯერებელი ტონი ქართველებსა და სომხებზე საუბრისას, განპირობებული უნდა ყოფილიყო რაიმე სახის ინფორმაციებითა და ცნობებით, რომელიც ევროპაში უნდა ჰქონოდათ საქართველოს შესახებ.

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი საინტერესო ცნობა, რომელიც ფრანგი ქარტველოლოგის, მარი ბროსეს ნაშრომში გვხვდება. უცნაურია, რომ აღნიშნულმა მონაკვეთმა ვერ მიიპყრო ქართველი ისტორიკოსების ჯეროვანი ყურადღება. ბროსე მიმოიხილავს, XV საუკუნეში საქართველოს ურთიერთობას ევროპულ სამყაროსთან და ბიზანტიის იმპერიასთან. მასში ვკითხულობთ: *„არის კიდევ ორი თავისებური ფაქტი, რომელიც ეხება 1450 და 1459 წლებს და რასაც ჩვენი ისტორიული წყაროები გვერდს უვლიან და საქართველოს ახსენებენ მხოლოდ უცხოელი ავტორები: იმპერატორ კონსტანტინე დრაგასის საქართველოს მეფის ასულზე დაქორწინების პროექტი და ის ფაქტი, რომ საქართველომ თურქების წინააღმდეგ ევროპის სუვერენებთან აიღო კოალიციის შექმნის პროექტი.“*[1] აქ კარგად ჩანს, თუ რომელ ორ ფაქტზეა საუბარი. პირველი ეხება ბიზანტიის იმპერატორის მატრიმონული ხასიათის დიპლომატიურ მცდელობს, რაც გულისხმობდა, საქორწინო კავშირი გაება რეგიონში არსებული ორი ქრისტიანული პოლიტიკური ერთეულიდან ერთ-ერთთან, ტრაპიზონის იმპერიასთან, ან საქართველოსთან. ეს ცნობები, უფრო დეტალურად ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში, მოგვიანებით შემოვიდა.[2] ცნობილია, რომ 1449 წლის ოქტომბერში, საქართველოში ჩამოვიდა, ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის კონსტანტინე XI-ის წარმომადგენელი გიორგი სფრანძესი. ის კონსტანტინეპოლიდან გამოგზავნეს დავალებით, რომ უნდა ჩასულიყო ტრაპიზონსა და საქართველოში და შეერჩია საცოლე იმპერატორისთვის.[3] ამასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში ძირითადად

---

[1] Marie-Félicité Brosset. Aditions et Eclaircissements L'Histoire de la George depuis l'Antiquite jusqu'en 1469. St. Peterboorg, 1851. p. 406.

[2] გეორგიკა (ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ), ქართული თარგმანი და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, ტ.VIII. თბილისი, 1970. გვ. 49-87.

[3] Donald M. Nicol. The Last Centuries of Byzantium, 1261-1453. Cambridge University Press, 1993. p. 373; Donald M. Nicol. The Immortal Emperor the Life and Legend of Constantine Palaiologos, Last Emperor of the Romans. Cambridge University Press, 1992. p. 43; Nevra Necipoglu. Byzantium Between the Ottomans and the Latins Politics and Society in the Late Empire. Cambridge university press, 2009. P. 8.

ყაუხჩიშვილს იმოწმებენ და ბროსეს აღნიშნული ნაშრომი ყურადღების მიღმა რჩება. ახლა მოვიხმოთ ბროსესთან დაცული ინფორმაცია: *„1450 წელს კონსტანტინე დრაგასმა თავის პროტოვესტიარს ფრანძესს დაავალა, რომ დაეწყო მოლაპარაკებები ან ტრაპიზიონის იმპერატორ იოანესთან მის ქალიშვილზე დაქორწინების შესახებ ანდა იბერიის მეფე გიორგისთან. ეს უკანასკნელი მითითება, რომელიც მხარდაჭერილი იქნა ენეა სილვიოს წერილებით, გვიჩვენებს რომ ამ დროს ცენტრალური იბერის მეფე იყო გიორგი...“.*[1] ამ მონაკვეთიდან ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გახლავთ ბოლო წინადადება, სადაც ავტორი ამბობს, რომ იმპერატორის მცდელობას ქართველ მეფესთან დინასტიური კავშირის დასამყარებლად მხარს უჭერდა ენეა სილვიო. აღნიშნულ ინფორმაციაში უდაოდ ენეა სილვიო პიკოლომინიზეა საუბარი, რომელიც გახლდათ ევროპის ანტიოსმალური კოალიციების მთავარი იდეოლოგი. სამწუხაროდ, ამ ცნობაზე ყურადღება აქამდე არავის გაუმახვილებია. ამიტომ გახდა იგი ჩვენი ინტერესის საგანი. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე, ხელთ არ გაგვაჩნია აღნიშნული ცნობის საკონტროლო მასალა, ამიტომაც მასზე საუბარი გვიჭირს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მარი ბროსე აღნიშნულ კომენტარს უსაფუძვლოდ არ გააკეთებდა და იხელმძღვანელებდა კონკრეტული წყაროთი. თანაც გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რომ ენეასს მხარი დაეჭირა ამ ქორწინებისათვის, რადგან კარგად ჭვრეტდა ბიზანტიის უახლოეს მომავალს და ქართველებთან იმპერატორის ნათესაურ კავშირში ყოფნა, მას თურქული საფრთხის წინაშე ბიზანტიურ-ქართული კავშირის ერთგვარ წინაპირობად ესახებოდა.

უნდა შევაჯამოთ, ზემოთ მოხმობილ პირველ წყაროებსა და მეორეულ სამეცნიერო ლიტერატურაში დაცული ინფორმაცია და პასუხი გავცეთ მთავარ შეკითხვას, თუ როდიდან ჩნდება საქართველოს, როგორც ანტიოსმალური სამხედრო ძალის საკითხი ევროპის ჯვაროსნულ პოლიტიკაში? ზემოთ მოყვანილი მასალები, გახლავთ ირიბი და პირდაპირი მტკიცებულებები იმისა, რომ ქართველები ანტიოსმალურ ჯვაროსნულ პროექტებში, პოტენციურ მოკავშირეებად კონსტანტინოპოლის დაცემამდეც იყვნენ მოაზრებულნი. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული წარმოდგენა, უნდა გადაიხედოს.

---

[1] Marie-Félicité Brosset. Aditions et Eclaircissements L'Histoire de la George depuis l'Antiquite jusqu'en 1469... p. 406.